საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

რექტორის

ბრძანება №01-00/08

ქ. თბილისი 15. 11. 2010

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 1 სექტემბრის №01-00/02 ბრძანებაში „2010 წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 1 სექტემბრის №01-00/02 ბრძანებაში „2010 წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ" და ბრძანების მე-6.ბ, მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „6. ბ) მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-11 კვირაში (13 – 19 დეკემბერი);

   საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა – მომდევნო, მე-12 კვირაში (20 - 26 დეკემბერი);

   8. 2010 წლის შემოდგომის სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს მე-19 კვირაში (23 – 27 თებერვალი);

   9. საგაზაფხულო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 14-დან 28 თებერვლამდე";

2. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს (ბ-ნი ე. კოპალიანი);
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე